დანართი N1

2020 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები

საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტი ოთხი ნაწილისაგან შედგება. ეს ნაწილებია: წაკითხულის გააზრება; ანალიტიკური წერა; ლოგიკური მსჯელობა; რაოდენობრივი მსჯელობა.

წაკითხულის გააზრებაში, ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში:

1. სწორი პასუხის გაცემისთვის იწერება 1 ქულა;
2. თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა;
3. არასწორი პასუხისთვის აკლდება 0.2 ქულა (ანუ იწერება -0.2 ქულა).

ანალიტიკური წერა

ანალიტიკური წერის ნაწილი (პირობითად, „ანალიტიკური წერა“) შედგება ორი დავალებისგან:

I. მსჯელობის ანალიზი (მაქსიმალური შეფასება - 9 ქულა);
II. თემა მოცემულ საკითხზე (მაქსიმალური შეფასება - 9 ქულა).

მსჯელობის ანალიზი - შეფასების კრიტერიუმები

N	კრიტერიუმები	განმარტება	მაქსიმალური ქულა
1.	ანალიზი (არგუმენტები)	კრიტიკულად უნდა იყოს განხილული მოცემული ინფორმაცია. გაანალიზებული უნდა იყოს მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირები - მართებულად უნდა იყოს წარმოჩენილი მიღებული შედეგის გამომწვევი შესაძლო მიზეზები. შეფასებული უნდა იყოს, რამდენად საკმარისია / არასაკმარისია ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაცია.	3
2.	თხრობის ორგანიზება, სტრუქტურა	ნაწერი სტრუქტურულად უნდა იყოს გამართული, აზრები – მწყობრად, თანამიმდევრულად გადმოცემული; თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული.	2
3.	სტილი, ლექსიკა	აზრები ცხადად, ნათლად უნდა იყოს გამოთქმული, ნაწერი უნდა იყოს სტილისტურად გამართული, ლექსიკა უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ თემატიკას.	2
4.	სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია	ნაწერი შესრულებული უნდა იყოს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.	2

თემა მოცემულ საკითხზე - შეფასების კრიტერიუმები

N	**კრიტერიუმები**	**განმარტება**	**მაქსიმალური ქულა**
1.	ანალიზი (არგუმენტები, მაგალითები)	წარმოდგენილი უნდა იყოს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრული ანალიზი; ავტორის პოზიცია დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი არგუმენტებით, დამაჯერებელი, ადეკვატური მაგალითებით.	3
2.	თხრობის ორგანიზება, სტრუქტურა	ნაწერი სტრუქტურულად უნდა იყოს გამართული, აზრები – მწყობრად, თანამიმდევრულად გადმოცემული; თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული.	2
3.	სტილი, ლექსიკა	აზრები ცხადად, ნათლად უნდა იყოს გამოთქმული, ნაწერი უნდა იყოს სტილისტურად გამართული, ლექსიკა უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ თემატიკას.	2
4.	სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია	ნაწერი შესრულებული უნდა იყოს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.	2

იმისათვის, რომ თითოეული დავალება ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

(1) უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ საკითხს;
(2) არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს;
(3) შესრულებული უნდა იყოს გასარჩევი ხელწერით.

თუ რომელიმე ამ პირობებიდან არ იქნება დაცული, ნაწერი შეფასდება 0 ქულით.

თითოეული დავალების მიხედვით შესრულებული ნაწერის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 100 სიტყვისა.

თუ ნაწერი 100 სიტყვაზე ნაკლებია, მაშინ ის შეფასდება მხოლოდ პირველი კრიტერიუმის მიხედვით.